ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 27.04.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 005/23

შეკითხვა:

ადვოკატი კომპანიაში, იურიდიული სამსახურის უფროსის პოზიციაზე მუშაობდა, შესაბამისად მას ხელი მიუწვდებოდა კომპანიის ნებისმიერ იურიდიულ დოკუმენტებსა თუ ინფორმაციაზე. კომპანიასთან თანამშრომლობის შეწყვეტის შემდეგ ადვოკატს წარმოეშვა პირადი შრომითსამართლებრივი დავა კომპანიასთან. დავის მოგების შემდეგ, მას დახმარებისთვის მიმართეს, კომპანიის სხვა ყოფილმა თუ აქტიურმა დასაქმებულებმა.

შეუძლია თუ არა ადვოკატს, გაუწიოს დასაქმებულებს მომსახურეობა და ხომ არ დაარღვევს ის პროფესიულ ეთიკას?

ანალიზი:

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება. („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5.“დ“.)

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება გასული დროის მიუხედავად. („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1.“ა“)

ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. (ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1).

ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე. (ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.6).

ადვოკატს პროფესიული ვალდებულება გააჩნია არამხოლოდ არსებული, არამედ ყოფილი კლიენტის მიმართაც, შესაბამისად მას შესაძლებელია ინტერესთა კონფლიქტი წარმოეშვას, როგორც აქტიური კლიენტების უფლებების დაცვისას, ასევე ყოფილ და აქტიურ კლიენტს შორის არსებული საერთო ინტერესების გადაკეთისას. უკანასკნელი განპირობებულია

ადვოკატის ვალდებულებით, დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, და უზრუნველყოს კონფიდენციალური ინფორმაციის იმგვარი დაცვა, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპი ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას, საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, თუნდაც საქმის დასრულების შემდეგ, არ გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მან მიიღო კლიენტთან ურთიერთობისას.

კონკრეტულ შემთხვევაში შეკითხვაში აღწერილი ფაქტებიდან იკვეთება, რომ კომპანიის ყოფილ იურისტს (ადვოკატს) კომპანიის წინააღმდეგ არსებულ შრომითსამართლებრივ დავაში, თანამშრომლები სთხოვენ დახმარებას. ადვოკატს, ორგანიზაციაში საქმიანობის პერიოდში ხელი მიუწვდებოდა კომპანიის სრულ იურიდიულ დოკუმენტაციასა და ინფორმაციაზე. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი საადვოკატო მომსახურეობას გაუწევს დასაქმებულებს, წარმოიშვება კონფიდენცილური ინფორმაციის გაცემის საფრთხე, რაც შეუქმნის მას ინტერესთა კონფლიკტს, მის ვალდებულებასა - დაიცვას პროფესიული საიდუმლობა, და კლიენტთა ინტერესების კვალიფიციურ დაცვას შორის.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი საადვოკატო მომსახურეობას გაუწევს დასაქმებულებს, მას წარმოეშვება ინტერესთა კონფლიქტი თავის ვალდებულებასა - დაიცვას პროფესიული საიდუმლობა, და კლიენტთა ინტერესების კვალიფიციურ დაცვას შორის.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.